



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აფიანჩა

აფიანჩა, კეპ-ბოლაზი, მრავალფენიანი მღვიმე-ნამოსახლარი სოფ. ნებელდის (გულრიფშის მუნიციპ-ი) სამხრ-ით 5 კმ-ზე, აფიანჩის მთის ფერდობზე, ზ. დ. 455 მ. მღვიმე კარსტული წარმოშობისაა და გამომუშავებულია ზედა კარსტულ კირქვებში. აღმოაჩინა გეოლოგმა ლ. სოლოვიოვმა 1938. არქეოლ შესწავლა დაიწყო 1974-იდან (ხელმძღვ. ნ. ზ. ბერძენიშვილი, 1977-იდან – ლ. ნერეთელი). გამოყოფილია ლითოლოგიურად განსხვავებული 9 ჰორიზონტი, რ-ებიც 6 კულტურულ ეპოქას შეესატყვისება. დადგენილია მუსტიეს, ზედა პალეოლითის, მეზოლითის, ნეოლითის ხანის ფენები. აღმოჩენილია კაჟის, ობსიდიანის, არგელიტის და ძვლის იარაღი (საფხეკები, საჭრისები, ისრისწვერები, სადგისები, ხელჩაქურები, სანაფები, სასრესები და სხვ.). დიდი რაოდენობითაა ცხოველთა და თევზის ძვლის ნაშთები. მასალა ცხადყოფს, რომ აქ ცხოვრობდა მონადირეთა და მეთევზეთა ჯგუფი, რ-ის საქმიანობაში შემგროვებლობასაც გარკვეული როლი ენიჭებოდა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ. ზ., ცერეთელი ლ. დ., მგელაძე ნ. პ., Пещерная стоянка Апианча, კრ.: Полевые археологические исследования в 1977 году, Тб., 1980; ცერეთელი ლ. დ., Многослойные памятники Апианча, კრ.: Полевые археологические исследования в 1984 – 1985 гг., Тб., 1987.

ლ. ნერეთელი
